წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ოთხშაბათი 22 ივნისი

# სამშობლო

№ 386

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**პატე ჟურნალი.** მიმდინარე ამბები

## ჰეი, რაშებო, გასწიეთ მარდათ!

ძლიერი დრამა 4 ნაწილ. მოსკოვის ყოფილ მილიონერის ცხოვრებიდან და ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე შედგენილი. მონაწილეობენ ცნობილი მსახიობნი: ბაკშეევი და აგათა ბერლენი.

ნადირობაც ამასა ჰქვიან.

კომიკური.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან: **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

სიყვარული ხუნდთა პრინცესასი,

ძლიერი დრამა 3 დიდ განყოფილებათ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

**განა ეს ქალია!** კომიკური.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 20 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **პატე ჟურნალი,** მიმდინარე ამბები

## მტაცებელთა ხელში.

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**სალომეს ცეკვა** კომიკური.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 23 ივნისიდან: **პატე ჟურნალი** მიმდინარე ამბები.

არზრუმის აღების ერთი ეპიზოდი **ანუ № 6 პოლკის ჯარის კაცის, ლიზავეტა ბაშკიროვის გმირობა.** დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**სიყვარული ცულლუტია** მხიარული კომედია 3 ნაწილად. მალოროსთა ცნობილ მსახიობის ლეშჩინსკის მონაწილეობით.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

## ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 4—2

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. სა: თ, ჩ-ჲ ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. **ჩარბძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღებ: დილით $12^1/_2$—2 საათ. სათ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**გ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

დ. ლაილაში

**25 ივნისიდან**

## კბილის ექიმი

ანნა პარმენის ასული ებანოიძე

მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა,.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 19 ივნისი. მტერი ყოველნაირად სცდილობს შემოტევა დაიწყოს. ნამეტანი მკაცრი ბრძოლები მოხ და სოფ. ტრისტენ-კიანთან (კისელინის აღმოსავლეთი, სოფ. ზუბილნოს სამხრეთით). სოფ. ვოლია სადოვსკაიასთან და კისელინის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ყველგან მტერი უკუ ვაქციეთ. მტერს დავახევინეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ. პოლესიეს ჩრდილოეთით სროლა გაცხოველდა, მოლოდეჩნოს სადგურზე გერმანელმა მფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო.

გენ. ლეჩიცკის ჯარმა მედგარი ბრძოლის შემდეგ იერიშით აიღო მოწინააღმდეგის პოზიცია კოლომიას დასავლეთით. ტყვეთ წამოვიყვანეთ ჯერჯერობით 2000 კაცი. უმეტესი ნაწილი ტყვეებისა მთვრალი იყო. ვოლინის ასპარეზზე მტერი განაგრძობს გაათრებულ იერიშებს. ჩვენ მოვიგერიეთ გერმანელების წინსვლა მდ. სტირსა და სტოხოდს შუა, სოფ. კეჩე—ზაბარის მიდამოებში. კისელინის სამხრეთ დასავლეთით (ზობილნო—კოშევი) გერმანელთა ახალი იერიშები მოვიგერიეთ. მტრის ჯარს მისთვის დიდი დანაკლისით ვსდევნიდით, უკან გაქცეულებს მრავლათ ვხოცავდით, მერე ემატებოდათ მათ ჯარი და ისევ იერიშით მოდიოდნენ, იერიშებს კვლავ ვიგერიებდით. მდ. დვინაზე და დვინსკის სამხრეთით პოლესიემდის სროლაა.

**პეტროგრადი.** 20 ივნისი. სტოხოდის მიდამოებში და სტოხოდის სამხრეთით მძაფრი ბრძოლები გრძელდება. კოპჩაგოლენოვკ-ზაბარის ბრძოლის ხაზზე ქარიშხალისებური ცეცხლის შემდეგ სანგრებიდან ამოვიდ ენ, მაგრამ ჩვენ სროლით უკანვე თხრილებში ჩავაბრუნეთ უძლიერესი სროლის დროს სოფ. ლინევკის სამხრეთითაც მოწინააღმდეგე იერიშით მოდიოდა, მაგრამ შევაჩერეთ; ამ ბრძოლაში მსუბუქად დაიჭრნენ მამაცი პოლკოვნიკები პანპუშკო, ბაშკევიჩი, ბერბაცი. დავატყვევეთ 16 აფიცერი, 800-ზე მეტი ჯარის კაცი, 9 ტყვიისმფრქვეველი. ზუბილნო ზატურნცის მიდამოებში ავსტრიელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ მათთვის დიდი დანაკლისით უკან დავახევინეთ. დავატყვევეთ 700 ზე მეტი და ხელთ ვიგდეთ 3 ტყვიისმფრქვეველი. ლუცკ გაროხოვის ხაზის შუა ადგილზე სოფ. უგრინოვის სამხრეთით მოწინააღმდეგის ახალმა ძალებმა შეაჩერეს ჩვენი წინსვლა და შემოგვიტიეს კიდეც.

მოიერიშე მტერს მედგრად შევუტიეთ უკუვაქციეთ მომეტებულ ნაწილად ავკუწეთ. ჩვენი ცხენოსნები ქვეითა ჯარს ეხმარებოდენ და კვლავ შეტევაზე გადავედით. აქ დავატყვევეთ 800 კაცი. მდ. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ისაევკის სამხრეთით მტერმა წინსვლა დაიწყო, მაგრამ ჩვენ თვითონ გადავედით საპასუხოდ შეტევაზე. ამ მძაფრ ბრძოლაში დაიჭრა ყაზახთა პოლკის მამაცი უფროსი პოპოვი.

ნაროჩის ტბის სამხრეთით დღეს გერ გაავითარეს არტილერიის ძლიერი ცეცხლი, რომელიც ღამის განმავლობაშიაც მოქმედებდა. ვიშნოვსკის ტბის ჩრდილოეთით გერმანელები ღამე წინ წამოსვლას სცდილობდენ, მაგრამ მოვიგერიეთ. სმორგონთან, დაბა კრევოს ჩრდილოეთით ხელში ჩავიგდეთ ტყვეები და ტყვიისმფრქვეველები.

ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ქვეითა ჯარის ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი და დავატყვევეთ 50 აფიცერი და 1400-ზე მეტი ჯარისკაცი ბრძოლა გრძელდება ქვეითა ლიპაზე (დუბნო—სოკალის ხაზის შუაზე) დავსჯაბნეთ მტერი და ისევ ვსდევნეთ. დასავლეთისაკენ ღამე ჩვენ დავატყვევეთ 11 აფიცერი 992 ჯარისკაცი, 5 ტყვიისმფრქვეველითურთ

კავკასიის ასპარეზზე.

პლატანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მოხდენილ იერიშის შემდეგ ოსმალთა მიერ გამაგრებული მთის ქედი აიღო. პოზიციაზე მრავალი ოსმალთა ლეში დაგვხვდა. მტერი მდ. სამსუნ დარასის გადავაცილეთ. გიუმიშხანის მიმართულებით ოსმალონი ეცადნენ ჩრდილოეთით წინ წამოსვლას, მაგრამ სროლით თავისივე სანგრებში ჩავაბრუნეთ.

ბაიბურთის მიმართულებით ჩვენი ჯარი ოსმალებს ზურგით მოექცა ვართანისთან და როცა ოსმალებმა სროლა აუტეხეს, 100 ნაბიჯის სიშორიდან ხიშტებით ხელში იერიშით წავიდა, ოსმალები კლდიდან გადარეკა და უვნებლიდ დაბრუნდა. არზრუმის თავს ოსმალთა ჰაეროპლანი დაფრინავდა. ბაღდადის მიმართულებით ოსმალთა დიდი ძალები კვლავ გვაწვებიან. ქ. ბაიბურთის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მთელი რიგი მტრის მიერ გამაგრებულ სიმაღლეთა და ხელთ იგდო ორი ზარბაზანი, ტყვიისმფრქვეველი და ტყვიისმტყორცნელი. ძლიერი წინააღმდეგობის გამო მრავალი ოსმალო დავხოცეთ. მოწინააღმდეგე დიდად დაზარალდა.

შავი ზღვა.

რუსების წყალქვეშამ ბოსფორთან დიდი იალქნიანი გემი დალუპა გემზე მსახურნი ნავებით ნაპირისკენ გავისტუმრეთ.

**შენიშვნა.** 17 ივნისს კოშევის სამხრეთით ვატინთან ბრძოლაში ერთ-ერთმა ჩვენმა ბატალიონმა დიდი მამაცობა გამოიჩინა, როდესაც შედარებით დიდ ძალებს შეებრძოლა. ბრძოლის ხაზი მტერს გაერღვია, კაპიტანმა რუსოვმა ბათალიონი საიერიშოდ გაიქანა წინ, თვითონ ცხენზე იჯდა და წინ მიუძღოდა კაპიტანი რუსოვი სასიკვდილოდ დაიჭრა, იერიში პოდპორუჩიკმა კოჩეროვსკიმ განაგრძო. ბატალიომმა სდევნა მტერი. მაგრამ ჩასაფრებულს ორ ბატალიონს მტრისას წააწყდა. ჩვენი ბატალიონი მაშინვე ეკვეთა მტერს, ხიშტებით სდევნა ის მახლობელ ტყემდე; გზა სულ მკვდრებით იყო მოფენილი. აფიცერებმა და ჯარის კაცებმა არა ჩვეულებრივი ვაჟკაცობა, მამაცობა და მოხერხება გამოიჩინეს. ჯერჯერობით მიღებულ ცნობებით, დაჭრილან მამაცი პოდპორუჩიკი კოჩეროვსკი, პრაპორშჩიკები; კრუპენსკი, ტომპეტერი და პოდპრაპორშჩიკი დოვბნია, ყველანი ჯერჯერობით უფროსობდენ როტას.

**პარიზი.** 19 ივნისი. დღის ცნობა. სომმის ჩრდილოეთით მთელი ღამის განმავლობაში მძაფრი ბრძოლები იყო; გერმანელებმა მედგარი იერიშები მიიტანეს ფრანგთა პოზიციებზე ერდეკურის მისავლებში, მაგრამ ფრანგებმა მათ სროლით დიდი ზარალი მიაყენეს, რამაც აიძულა მტერი უკან დაეხია. ფრანგებმა დაატყვევეს 200 კაცი, ამათში ექვსი აფიცერია. სომმის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა ფიცხელი ბრძოლის შემდეგ ტიურლიუს ყველა სოფლები დაიპყრეს. სომმის სამხრეთით ფრანგებმა შეინარჩუნეს გუშინ დაპყრობილი პოზიციები და წუხელის წინაც წაიწიეს. ერდეკურის და ასსერვილის შუა. ახალ ცნობათა მიხედვით სულ დავატყვევეთ 5000 კაცზე მეტი. უაზასა და ენის შუა გერმანელების პატრულები დავატყვევეთ. შამპანში ფრანგები ხშირად ზვერავდენ მოწინააღმდეგეს, ზოგ ალაგას გერმანელთა სანგრებში შეიჭრენ და იქიდან ხელის ყუმბარებით განდევნეს გერმანელები მაასის მარცხენა ნაწილზე ავოკურის ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთით იერიში მოიტანეს ფრანგებზე და შეიჭრენ მათ მოწინავე პოზიციებში, მაგრამ იქიდან მალე იქნენ განდევნილნი სრულიად.

მორტჰომის აღმოსავლეთ კალთაზე ფრანგებმა მარჯვედ მიიტანეს იერიში გერმანელთა თხრილებზე, გერმანელებს მოუკლეს 50 და დაატყვევეს 20 კაცი. ამის გარდა ფრანგებმა აქ ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები ეცადენ იერიშების მოტანას ტიომონზე. რომელშიაც ეხლა ფრანგები არიან გამაგრებულნი. ფრანგებმა ადვილათ მოიგერიეს იმავე ადგილებში. გერმანელთა ძლიერი რაზმი თავს დაეცა ფრანგთა პირველი რიგის თხრილებს. გერმანელებმა შესამჩნევი ზარალი ნახეს და გაფანტულ იქნენ. ფრანგებმა დაატყვევეს ორი აფიცერი და 14 ჯარის კაცი. ვოს დასავლეთით და სამხრეთით ცხოველი საარტილერიო ბრძოლაა.

**ლონდონი.** 16 ივნისი. დაღუპულა იტალიელი გემები „მანიჩელო“, „როპა“ და „პიპო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

—·—

გერმანიის იმპერიის კანცლერს ბეთმან ჰოლვეგს ხანგრძლივად უსაუბრნია ჯარის კაცებთან. „მატენი“-ს გადმოცემით, ჯარისკაცებმა ჯარში არსებულ შიმშილობაზე მიუთითეს კანცლერს: ბეთმან ჰოლვეგს უთქვამს: „სანოვაგის საქმე დღემდი მოწესრიგებული არ იყო და ამიტომ შიმშილობას განიცდიდით. დღეიდან კი ყოველი ჯარისკაცი სანოვაგის მხრით უზრუნველ ყოფილი იქნებაო“.

———

ვერდენის ბრძოლიდან გადმოყვანილი ჯარისკაცები ამბობენ: არ გვინახავს ასე დაუნგრეველი და კაჟადქცეული სიმაგრე. ჩვენ ვიბრძოდით ვარშავასთან და კურლიანდის სხვადასხვა ქალაქთან, მაგრამ ასეთ მიუვალი და ძლიერად გამაგრებული ციხე არსად შეგვხდერიაო. როდესაც ერთ ფორტს ავიღებთ, ჩვენს წინ კვლავ ახალ-ახალი ფორტები ჩნდება. ჯარისკაცების გაბრაზებას საზღვარი არ აქვსო.

———

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გაუგიათ, არაბთა აჯანყება ხალხოსნური არ ყოფილა. მას ხელმძღვანელობენ ქალაქის სამხედრო პირები და საზოგადო მოღვაწენი.

———

ოსმალეთის ჯარის რომელიც აჯანყებულ არაბთა წინააღმდეგ გამოიგზავნა, უკვე მოადგა აჯანყებულთა ხაბაზო ადგილებს და ბრძოლა სწარმოებს.

———

ადრიატიკის ავსტრიის წყალქვეშამ იტალიის გემი „რომონო“ ჩასძირა.

———

„ბირჟ. ვედ.“-ს ცნობით, ფელდმარშალ მაკენზენს ბალკანეთიდან მთელი თავისი შტაბი გალიციის ასპარეზზე გადაუყვანია

———

ინგლისური ცნობების მიხედვით, ამ ბოლო დროს დასავლეთის ასპარეზზე მოკავშირეთა საქმე კარგად მიდის. გერმანელებმა ინგლისის ასპარეზიდან მთავარი ძალები სხვაგან გადაიყვანეს, მხოლოდ ამ დროს კი ფრანგ ინგლისელებმა ძლიერი შეტევა დაიწყეს და მტრის ხაზიც გაარღვიესო.

———

ტრიესტის ყურეში ავსტრიის ჰაეროპლანი თავს დაესხა იტალიის რაზმს. იტალიელებმა ჰაეროპლანს წყალქვეშა გემის ზარბაზნებიდან დაუშინეს, ჰაეროპლანი გაიქცა. მოკლულია სამი კაცი.

———

„ჟურნ. დე ბალკანე“-ში მოყვანილია ბულგარელ ჯარისკაცის სიზმარი იგი ამ-

# ომის დღიური.

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** მთელ ასპარეზზე ალაგ-ალაგ ასეთი ბრძოლებია: გერმანელები არტილერიის დახმარებით იწყებენ იერიშებს, რუსები იგერიებენ მათ, უკანაც ახევინებენ. ხანდისხან ართმევენ ზარბაზნებს, ტყვიისმფრქვეველებს და ატყვევებენ. მთელი დღის განმავლობაში რუსებს დაუტყვევებიათ 5000 მდე კაცი.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ვერდენთან ფრანგებმა ტუომონი შეინარჩუნეს, მიუხედავათ მასზე მიტანილ გერმანელების იერიშისა. მდ. სომმის ორივე მხარეს ფრანგებს დღემდის 5000 კაცამდე დაუტყვევებიათ.

სხვა ასპარეზების შესახებ გუშინ შუადღის სამ საათამდე ცნობები არ ჵიგვიღია.

---

ბომბ: როდესაც სახლში დავბრუნდი, ჩემი სახლკარი მთლად გადაბუგული დამიხვდა ნაცარში ცოლ-შვილის ძვლები დავინახე... რაღას ვიზამდი, ისევ ბრძოლის ველზე გავსწიე. და როდესაც ვარდარის ნაპირებთან ბრძოლის შემდეგ დასვენებას მივეცი თავი, აქ დიმესიზრმა: ვითომ სალონიკთან ვეებერთელა ორმო იყო მოთხრილი და ჩვენ ყველანი შიგ ვსცვივოდით შემდეგ საკუთარი თავები ყველას გვწყდებოდა, და გველის თავები გვებმებოდაო. ჯარისკაცს უთქვამს პირველი სიზმარი უკვე ახდა: ჩემი სახლ-კარი ყაჩაღებმა გადაბუგეს და ცოლშვილი ამომიწყვიტეს, მხოლოდ აცხადდება თუ რა მეორე საბედისწერო სიზმარი, არ ვიციო.

— —

ფელდმარშალ ჰინდენბურგს ამას წინად ვილჰელმთან შეხვედრის დროს უთქვამს: ბრძოლის ველზე წინსვლას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, გარდა ზარალისა. საჭიროა წინ წაწეულ ადგილზე დამკვიდრება. დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს შინაურ მდგომარეობას, და ყოველ შემთხვევაში, როგორც არა ერთ ხელ მითქვამს, ის გაიმარჯვებს, ვისაც მაგარი ნერვები აქვს

— —

ამ ოთხი თვის წინად ინგლისის მთავრობამ ეგვიპტე მეტროპოლიასთან შეერთებულად გამოაცხადა და იქ ოსმალეთის ხონთქრის უფლებები გააუქმა. დღეს როგორც სჩანს, ეგვიპტე ინგლისთან სავსებით არ ყოფილა შეერთებული.

— —

„ბირჟ. ვედ.“ იუწყება: ეგვიპტელებმა გადასწყვიტეს, მონაწილეობა მიიღონ აჯანყებულ არაბთა საკითხის გადაჭრაში. აგრეთვე ცნობაა-ჯერ ეგვიპტე-ოსმალეთს შორის მიმოსვლა არ შეწყვეტილაო.

— —

სტამბოლის მთავრობამ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა სმირნის გუბერნატორად ნამყოფს სირლი-ფაშას მას ბრალდებოდა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის წინააღმდეგ მოქმედება და სომხების ამოჟლეტის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა.

— —

ავსტრიის მთავრობამ ჩამოხჩობა გადაუწყვიტა 4 ჩეხელ აფიცერს. მათ სახელმწიფოსადმი ღალატი ბრალდებათ.

— —

გერმანიის მთავრობამ ბერლინელ მოქალაქეს სამსამი წლის კატორღა მიუსაჯა ჯაშუშობის გაწევისთვის.

— —

რუმინიაში რუსეთის საელჩოს წინ, რუსის ჯარის გამარჯვების გამო, დიდი მანიფესტაცია გამართეს.

— —

„რუსკ. სლოვო“-ს გადმოცემით, იტალიის მთავრობამ ჯარში გაიწვია 1888, 9, 7, 6 წ. წ. ნამსახური ჯარისკაცები.

— —

ოსმალეთის ხონთქარმა აჯანყებულ არაბთა მექას შერიფისთვის წერილი მიუწერია, სადაც დამშვიდებას სთხოვს.

— —

რუმინიის მეფე ესაუბრა ამერიკელ კორესპონდენტს და, სხვათა შორის, უთქვამს: ბალკანეთის ახლანდელ მდგომარეობას ჩვენ ვერ ავყვებით, რადგან ძალზე ვშიშობთ, სადმე ფეხი არ წავიტეხოთო.

— —

ათინიდან იუწყებიან სტამბოლში გრძელდება ბერძენთა დატუსაღებაო.

— —

ბუქარესტიდან ორგვარი ცნობა მოსულა. პარიზელ კორესპონდენტს ატყობინებენ: რუმინიაში დემობილიზაცია გამოაცხადესო, მხოლოდ ამავე დროს ბერლინის გაზეთს ატყობინებენ, რუმინიამ მეოთხე საარმიო კორპუსის მობილიზაცია გამოაცხადაო.

— —

შეთანხმების სახელმწიფოებში საბერძნეთის პოზიციას კვლავ ეჭვის თვალით უყურებენ.

— —

„ტაიმსი“ იტყობინება: მდგომარეობა საფრანგეთში მეტად სერიოზულია, გერმანელები უკანასკნელ ძალას იკრებენ და უკადრესისი სასტიკით ესვრიან ვერდენის ფორტებსო.

— —

გერმანიის პარლამენტარიები სოფიაში ჩამოვიდენ მათ მინდობილი აქვთ აქედან ბუქარესტს წასვლა და რუმინიის მეფესთან მოლაპარაკების გამართვა.

— —

რუმინიაში ნაციონალური კაბინეტის შედგენას აპირებენ.

## სამხედრო მიმოხილვა

**ᲤᲠᲐᲜᲒ-ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ.**

ჩვენ გუშინ აღვნიშნეთ, რომ მოკავშირეებს სრულებითაც არ აუღიათ ხელი საერთო გენერალურ შეტევაზე და თუ გაზაფხულზე ვერ მოუხდათ შემუშავებულ გეგმის სისრულეში მოყვანა, ეხლა შეუმუშავებიათ ახალი გეგმა, რომლის განხორციელებასაც შეუდგენ დღიდან გალიციის უკანასკნელ ბრძოლის დაწყებიდან.

გალიციის ძლიერმა ბრძოლებმა არამც თუ ნიადაგი მოუმზადეს მარტო დასავლეთის ასპარეზით მოკავშირეთა შეტევას, არამედ ეხლაც გალიციაში რუსები სცდილობენ დიდი დახმარება გაუწიონ ინგლისელებსა და ფრანგებს. რუსები ყოველ ღონეს ღონობენ. რათა აიძულონ გერმანელები ადგილობრივ აღმოსავლეთის ასპარეზზე ჩააბან თავის ძალები, და არ გაუგზავნონ დახმარება დასავლეთის ასპარეზზე მომქმედ კრონპრინცისა და გენ ფონ კლუკის ჯარებს. ეს არის რუსების ადგილობრივი შეტევის მიზანი და ამითვე უნდა აიხსნას გენ. ლეჩიცკის ჯარის წინსვლა ბუკოვინაში.

ამ მხრივ გუშინდელი დღე ნაყოფიერი გამოდგარა რუსებისათვის. სტიროსტოხიდის ხაზზე რუსებს გერმანელები ძლიერ ბრძოლებში ჩაუბამთ. ზატურცისთან დაუხევინებიათ ავსტრიელებისათვის და 700 ტყვე წამოუყვანიათ და 3 ტყვიისმფრქვეველი წაურთმევიათ.

ლუცკსა და გროხოვთან მოწინააღმდეგის დემონსტრაციაზე მედგარი იერიშებით გაუციათ პასუხი რუსებს და 800 კაცი დაუტყვევებიათ.

თუმც მოკავშირეთა შეტევა დასავლეთის ასპარეზზე არ არის ძლიერი, და საშუალოზე ნაკლებიც, მაგრამ ცდილობენ დიდი დახმარება გაუწიონ სხვა და სხვა ასპარეზით. ფრანგ-ინგლისელთა „საერთო“ შეტევამ დღესდღეობით ხელში მისცა მათ მხოლოდ ტუომონის სიმაგრე ვერდენთან, მოწინავე პოზიციები მდ. სომმის ორივე მხარეს და 5000 კაცი ტყვეთ.

თუ შევადარებთ ამ უმნიშვნელო შეტევას ფრანგ-ინგლისელთა შეტევას რუსების პირდაპირ დევ-გმირულ შეტევას აღმოსავლეთ ასპარეზზე, ჩვენ ის უნდა დავასკვნათ, რომ მოკავშირეებს ჯერჯერობით ბევრი არა გაუკეთებიათ რა. თუ ფრანგ ინგლისელთა შეტევა შარშანდელივით ხან მოკლე იქნება და ამაზე შეჩერდება, უნდა ითქვას, რომ მისი დაწყება კი არა ღირდა

ამნაირად, უნდა გაგრძელდეს დასავლეთის შეტევა, სხვანაირად მას აზრი არ ექნება და ის მოკავშირეთათვის ხელსაყრელი პირობანი, რომელნიც შექმნა რუსების შეტევამ, გალიციაში სარგებლობას ვერ მოუტანს მოკავშირეთა საერთო საქმეს და რუსებსაც თავისი ამაგი მუქთად ჩაუვლისთ.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ რუსები ეხლაც ეხმარებიან დასავლეთის მოკავშირეთ. ამას ესწრაფვიან როგორც ავსტრია-გერმანეთ-რუსეთის საზღვარზე, ისე კავკასიის ასპარეზზე: აქ რუსები არამც თუ ოსმალთა წინსვლის შეჩერებას ცდილობენ, არამედ ხანდახან მძლავრადაც უტევენ, რომ ოსმალნი კვლავ გერმანელებისაგან დახმარების მომლოდინე გახადოს.

აღსანიშნავია ინგლისელების აქტივობა მესოპოტამიაში, სპარსეთში, ბელუჯისტანის საზღვარზე, სადაც ეხლა მიურეკიათ ინდოეთიდან ჯარი და არაბეთში, სადაც არაბები შეუიარაღებიათ და აუმხედრებიათ ოსმალთა წინააღმდეგ.

არც იტალიელები არიან უმოქმედოთ და გულხელ დაკრეფილნი იტალიელებმა მძლავრად დაიწყეს შეტევა. ზოგიერთი მნიშვნელოვანი პუნქტი დაიპყრეს, როგორც, მაგალითად, აზიაგოს ვაკე-გორაკია.

ამნაირად, ყოველ მხრივ შეუტიეს მოკავშირეებმა; ყოველი საშუალება მოიხმარეს და სალონიკის უმოძრავო ჯარსაც კი მნიშვნელობა მისცეს საბერძნეთის გარშემო მდგომ ფლოტის დახმარებით. მოიშველიეს დიპლომატიაც, საბერძნეთს სამინისტრო გამოაცვლევინეს, რათა აღარ გაეწია დახმარება ბულგარეთისათვის ბალკანეთზე. ძალთა უპირატესობა კვლავ სალონიკის საექსპედიციო კორპუსისკენ გადიხარა, რაც ხელს შეუშლის გერმანელ-ბულგარელთ მოიშველიონ აქ მდგომი თავისი ჯარი.

მაშასადამე, ასეთი მზადება არ უნდა იყოს უქმი, და ცოტა ხანში გავიგებთ რა შეუძლიათ მოკავშირეებს

შვერელი.

## რუსული პრესა.

„პეტროგრადის ვედომოსტებ“-ის ერთერთ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ბ. ველიხოვსკის წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდან.

ბ. ველიხოვსკი სწერს:

„ეს ერთადერთი [illegible] ლესი საკითხია საეკლესიო ცხოვრებაში.

ამაზე ურთულეს [illegible] ხი, რაც ჩვენ სხვა და სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების თავისუფლება ალვიარეთ, არც კი არსებობს. ყველაზე სატირალი და სამარცხვინო ის არის, რომ ივერიის ეკლესიის საკითხში პოლიტიკით ხელმძღვანელობდენ და ამ პოლიტიკას ყოველთვის გენერლები აწარმოებდენ, რასაც ჩვენი სინოდალებიც ხელს უწყობდენ.

რომ არ შევეხოთ საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, მისთვის საეკლესიო ავტოკეფალიის გაუქმება ქართულ ცხოვრებისთვის დიდათ მავნებელია: ივერიის ეკლესიის საქმეებში რაღაც გაუგებარი მოსაზრებებით ჩაურიეს პოლიტიკა, რამაც დაღუპვის გზაზე წაიყვანა მისი ყოფა-ცხოვრება.

ამასთანავე მმართველ წრეებში ვერ გაუგიათ სიტყვა „ავტოკეფალიის“ ნამდვილი მნიშვნელობა. „ავტოკეფალია“ სეპარატიზმი ჰგონიათ“.

დასასრულ ავტორი მოითხოვს საქართველოს ეკლესიის ნამდვილ უფლებების აღდგენას.

## სათათბიროს დათხოვა.

---

## სამსახურის კაცი.

(მოთხრობა ბლასკო იბანიესისა*)

საპატიმროს ერთ ფართო ოთახში, სადაც მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავეთ ამწყვდევდნენ ხოლმე—ხმელ ლოგინზე გულაღმა იწვა ერთის გაზეთის თანამშრომელი ჰუან იანესი და ჟამთა-ვითარებით დაჩვრეტილ ჭერს უაზროდ მისჩერებოდა. დღეს სრული სამი თვეა, რაც ის დაატუსაღეს და ვინ იცის კიდევ რამდენს ხანს იქმნება მარტოდ მარტო, ცასა და ქვეყანას მოწყვეტილი!

საღამოს ცხრა საათი იყო საპატიმროს ეზოში საყვირი დაუკრეს და მით ამცნეს ტუსაღებს, უკვე დაღამდაო. საპყრობილეს დერეფნებში გაისმა ყრუ, ერთგვარი ფეხის ხმა დარაჯებისა. კამერებიდან კი მოისმოდა დაუსრულებელი გუგუნი და ხმაურობა ტუსაღებისა, გეგონებოდათ სამჭედლოს საბერველი ქშუტუნებს, ან სადღაც დევ-გმირს მიძინებია და ძილში მშვიდათა ხვრინავსო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ დახავსებულ შენობაში ასი და ათასი კაცი იყო დატუსაღებული

საწყალი იანესი! იძულებული შეიქმნა დაჰმორჩილებოდა გულის გამგმირ სიჩუმეს და დასაძინებლად უდრო უდროოდ ლოგინში ჩაწოლილიყო

იწვა იგი გაუნძრევლად. მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა. მხოლოდ ერთი ფიქრი, ფიქრი შავი და აბეზარი არა შორდებოდა. ეჰ! რა ძვირად დაუჯდა ის ბედ უკუღმართი წერილი! რა რჯოდა, რა უნდოდა, თავი დაენებებინა მთავრობის დაწესებულებისათვის. თითოეულმა ჰწკარმა წერილისამ თითო კვირა ციხე მოუპოვა, თითოეულმა სიტყვამ თითო დღე დაპატიმრებისა მიანიჭა.

ჯურღმულად ქცეულ ძირის სართულის კარებიდან მოისმოდა განუწყვეტელი ბორგვა და ღიღინი სიკვდილით დასასჯელისა. ეს იყო ვიღაც მთიელი, კაცის მკვლელი. იგი დაუსრულებლად იმეორებდა ერთსა და იმავე სიმღერას და მით ამცნობდა ქვეყანას, რომ სრულებითაც არ ენანებოდა თავისი თავი, თავისი წარსული და აწმყო. უმრავლესობის აზრით: იგი თავს იგიჟიანებდა, მაგრამ განა საკვირველია, რომ თოთხმეტის თვის განმავლობაში წუთით წუთზე სიკვდილის მოლოდინმა კაცი ჭკუაზე შეშალოს? იგი კი სწორედ თოთხმეტი თვე ოთხ კედელ შუა მარტოდ-მარტო იყო გამომწყვდეული და სულ სიკვდილზე ჰფიქრობდა!

მწარე და დაუსრულებელი ბორგვა სიკვდილით დასასჯელისა გულღვიძლს უღრღნიდა საბრალო იანესს და სწყევლიდა იმ სასტიკ წერილს, რომელმაც იგი უბედურ ადამიანის ტანჯვის მოზიარე გახდა.

— არა, ამ კამერაში დაძინება არ შემიძლიან,— მოესმა ამ დროს იანესს ვიღაცას მოკანკალე და გამსჭვალავი ხმა—მე ხომ დამნაშავე არა ვარ, რომ ამ საქათმეში მამწყვდევთ .. მე სამსახურის კაცი ვარ... ოცდა ათი წელიწადი ტყუილად ხომ არ ვემსახურე ხელმწიფეს. აბა, იკითხეთ, ვინ არის ნიკომედესი-თქო! მთელი ქვეყანა მიცნობს, გაზეთები ყოველდღე მიხსენიებენ... განა მიტომ დამიბარეთ, რომ ასეთ საღორეში დაგემწყვდიეთ? არა, ბატონებო, აქ ვერ დავიძინებ... ავად ვარ, მომგვარეთ ექიმი, იმას მინდა შევჩივლო ჩემი გაჭირება—აღარ ისვენებდა ახლად მოსული. მაგრამ ისეთის ლმობიერის კილოთი, ისეთის ხვეწნითა და მუდარით ლაპარაკობდა ეს სამსახურის კაცი, რომ იანესს ძალა უნებურად გაეცინა. ნეტა ვინ არის ის კაცი, რომელიც ოცდაათი წელიწადი ხელმწიფეს ემსახურებოდა და ამ დახავსებულ ციხეში კი ექიმსა თხოულობსო?—გაიფიქრა იანესმა და ყური წაუგდო.

მოისმა რამდენიმე ხმა, თითქოს რაღაცას ბჭობენ და თათბირობენო. ხმა თანდათან ახლოვდებოდა. უცბად გაიღო კარები პოლიტიკურთათვის დანიშნულ კამერისა, ოქრომკედით მორთულ ქუდიანმა თავი შემოჰყო და მოახსენა.

—ბატონო ჰუან—ამაღამ მარტო აღარ იქნებით.. მაპატიეთ, ბატონო, ჩემი ბრალი არ გახლავთ.. ხვალ ჩვენი უფროსი სხვაგვარ განკარგულებას მოახდენს.!—მობძანდით, ბატონო!—მიუბრუნდა იგი ვიღაცას.

კამერაში შემოვიდა ის მოწიწინე და მახვეწარი კაცი მას უკან მოსდევდა ორი ტუსაღი, რომელთაც მისი ბარგი მოჰქონდათ. ერთ მათგანს ხელში ეჭირა აბგა, ჯოხი და წამოსასხამი ახლად მოსულისა, ხოლო მეორეს— ვეებერთელა ყუთი, რაღაც იარაღებით სავსე.

—საღამო მშვიდობისა, ჩემო ბატონო!—ისეთივე წიწინა ხმით მიესალმა ახლად მოსული იანესს—ქუდი მოუხადა და თავი დაბლა დაუკრა. მისმა მოტვლეპილმა თავმა პრიალი დაიწყო.

—მაპატიეთ სულ-გრძელად, თუ რომ მიზეზი გავხდი თქვენის შეწუხებისა—განაგრძო მან—წარმოიდგინეთ, დამიბარეს სამსახურის კაცი, რომელიც ხელმწიფეს ეს ოცდაათი წელიწადია ვემსახურები და ისეთ საქათმეში კი შემიყვანეს, რომ მარტო ვირთაგვები სადგურობენ პატივისცემაც ასეთი უნდა!..

— ტუსაღი ხართ? გააწყვეტინა ჰუანმა.

—ამაღამ კი!.. მაგრამ დიდ ხანს არ შეგაწუხებთ,—ყრუდ უპასუხა ოცდაათის წლის განმავლობაში ხელმწიფის მოსამსახურემ.

იანესი დააცქერდა. იგი სცდილობდა გამოეცნო ახლად მოსულის ვინაობა: ერთი მოსაზრება მეორეთი ეცვლებოდა, ფიქრი ფიქრისათვის ვერ გადაება. და ბოლოს კი ჩახვდა, გაიგო ვინც იყო იგი.

ამ დროს ქვეიდან მოისმა სიკვდილით დასასჯელი გმინვა-ბღუილი და იანესი გველ ნაკბენივით ზეზე წამოიჭრა. გეგონებოდათ, ხელი წაავლო თავის უკანასკნელ მოსაზრებასაო, უკმეხად შეუძახა ახლად მოსულს.

—ჰა, მაშ თქვენ?.. რა გაქვთ მაგ ყუთში, იარაღებია?..

ახლად მოსულმა თავი ჩაღუნა. იანესის მკაცრ გამომეტყველებას ველარ გაუძლო, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გულშემზარავი დუმილი გამეფდა! ბოლოს უცნობმა თავს დასძლია და ჩავარდნილის ხმითა სთქვა:

—დიაღ, ვიცი რომ შეგაწუხეთ. ჩემი აქ ყოფნა თქვენთვის ყველაზე ფურო დიდი სატანჯველია, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის'.

ამ სიტყვებმა იანესი დააშოშმინა.

—არა, ბატონო!—დაცინვით უთხრა იანესმა—აქ ისეთი ადგილია, რომ თქვენზე უარესებიც მინახავს .. მე ყველაფერს შევეჩვიე, გარდა ამისა, თქვენ, მგონი, ცუდი კაცი არ უნდა იყოთ.

—მართალსა ბძანებ—დაიწყო ახლად მოსულმა—მე გახლავართ ნიკომედეს ტურუნვოლდი,—ნუ თუ ჩემი გვარი არ გაგიგონიათ? ვინ მოსთვლის რამდენჯერ იყო ჩემი სახელი გაზეთში ჩაგდებული. მაშ არ გაგიგონიათ ნიკომედეს ტერუნვოლდი, ბარსელონის მცხოვრები? ვწუხვარ ჩემო ბატონო, ვწუხვარ, რომ არ მიცნობთ, ვინ იცის რამდენი დიდებული კაცი დარჩება ხოლმე გაუცნობელი. თქვენს მზესა ვფიცავ, ჩემისთანა სახელოვანი მთელს ბარსელონში არავინ არის...

ჰო, ის უნდა მეთქვა, გუშინ სასამართლოში გახლდით, ერთმა ჩემმა ნაცნობმა ბოქაულთაგანმა მითხრა: „ნიკომედეს! პატონ თავმჯდომარის განკარგულებისამებრ თქვენ საღამოს მატარებლით უნდა გაემგზავროთო“, დავემორჩილე უფროსის ბრძანებას, გიახელით აქ და ამათ კი ვირთაგვების ტოლი გამხადეს, რაღაც საქათმეში უნდა დავეძინებინეთ. განა ასე მოეპყრობიან მართლმსაჯულების წარმომადგენელს? განა ეს თავხედობა არ არის?..

—დიდი ხანია, რაც მაგ თანამდებობას ასრულებთ?

—სრული ოცდაათი წელიწადი გახლავთ, ჩემო ბატონო! სამსახური იზაბელლა მეორის დროს დავიწყე. ჩემზე დამსახურებული მოხელე ჩვენს უწყებაში მეორე აღარ არის. ვამაყობ იმითაც, რომ ჩემ ხელში ბევრ პოლიტიკურსაც გაუვლია, მაგრამ ვამაყობ უფრო იმით, რომ სამსახურის ჩემისთანა აღმსრულებელი სხვა არავინ მეგულება. ხვალ ასოცდა მეერთეს უნდა მოვკვეთო თავი. მადლობა ღმერთს, ჩემი უმადური არავინ ყოფილა, ხშირად კიდეც მეტყოდენ ხოლმე: „ნიკომედეს, მადლი უფალს, რომ შენის ხელითა ვკვდებითო“.

დასასრული ხვალ

ი—ძანი.

*) **ᲘᲑᲐᲜᲘᲔᲡᲘ**—ესპანელების მწერალია.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

(ჵ. დ. ს.)

20 ივნისს, უმაღლესი ბრძანებით, 1 ნოემბრამდე დაითხოვეს სახელმწიფო სათათბირო.

როგორც ამასწინად გვქონდა აღნიშნული, ქუთაისის სათავად აზნაურო გიმნაზიის მოწაფეები შ. სანიკიძის ხელმძღვანელობით 20 ივნისს უკვე გაემგზავრენ კახეთისაკენ საექსკურსიოდ.

✦ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად 20 ივნისს ღამის მატარებლით თბილისს წავიდა ია ეკალაძე-ცინცაძე.

✦ ამ დღეებში სოფელ სახარშედიოში მოკლეს ცნობილი ყაჩაღი ლუკა ეჯიბია.

✦ სოფელ თექლათში ყაჩაღებმა: კოლია გოგობერიძემ და თეოფანე გელენავამ მოკლეს დუტუ ეჯ ბია.

✦ 12 ივნისს ქ. ფოთში ვორონცოვ დაშკოვის ქუჩაზე აფხაზავას სახლიდან სამხედრო ექიმს მოპარეს ჩემოდანი ხაბაკით ღირებული 180 მან.

✦ მკვლელობა. 12 ივნისს, საღამოს 5 საათზე, სოფელ ჰალაში (ზუგ. მაზრა) ადგილობრივ გლეხებს ვასილ შამუგიას და ალმასხან ხასაიას ადგილის თაობაზე ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს შამურგიას ორჯერ რევოლვერი უსვრია ხასაიასათვის და მძიმედ დაუჭრია. სამი დღის შემდეგ ხასაია გარდაიცვალა. შამურგია შეიპყრეს.

✦ 21 ივნისს ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი სენაკში გაემგზავრა.

✦ სოფელ ტყაჩირის (ქუთ. მაზ.) წვრილი საკრედიტო ბანკის საქმე ვერ არის კარგ დონეზე დამდგარი. საჭიროა, საქმის მცოდნე პირები საქმის წესიერად დაყენებისათვის.

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ მორიგ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ცნობა: 19 ივნისს შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივების თათბირიო. უნდა იყოს; კოოპერატივის „რეგულატორის“ დამფუძნებელი კრება.

—

### სოფლად.

11 ივნისს, სოფელ უხაპატში ბოროტმოქმედებს ცეცხლი წაუკიდებიათ ატაია გოგინავას სახლისთვის. ცეცხლის გაჩენა დროზე შეიტყვეს და ჩააქრეს მეზობლების დახმარებით.

— 14 ივნისს, სოფელ სვიათმაღალაში (ბაღ. მაზრა) დომენტი მაღლაკელიძემ წინასწარ განზრახვით ცულით მოკლა ძილის დროს ივანე მაღლაკელიძე, მეუღლე მისი, ქალიშვილი 13 წ. და ვაჟი 10 წლისა.

— 10 ივნისიდან 15-დე ნახულევის საზოგადოებაში (ხონის მაზ.) ე. ლ. ადამიას, დ. ი ფირცხალავას, ევდოკია ა. მელაძისას, ი. ი. ბობოხიძეს გ. ი. ბობოხიძეს, ს. კ. ბობოხიძეს და პ. ჩარგეიშვილს სა ძოვარი მინდვრიდან მოპარეს ცხენები და ძროხები. როგორც გამოირკვა, მოპარული საქონელი დაუკლავთ ქ ბათუმის ყასბებს სტეფანე დანელიას და პეტრე წკეპლაძეს.

— სოფელი მათხოჯი (ქუთ. მაზ.) მთაგორაში ი. ქ. ფირცხალავას, ა. ნ. ჩიმაკაძეს, ნ. ბ. ადამიას, მ მელაძეს და ე. ფირცხალავას 17 ივნისს საძოვარი მინდვრიდან მოპარეს ხარები და ძროხები. ხარები აღმოაჩინეს ქ. ბათუმის მეყასბეებთან სტეფანე დანელიასთან და პეტრე წკეპლაძესთან. მათ შესაპყრობათ ზომებია მიღებული.

## „დიდი საქმე“

მეტად სასიამოვნო და საყურადღებო ცნობას ვკითხულობთ გაზ. „საქართველოში.“

სავაჭრო სამრეწველო ბანკის საქმე სასურველად დაგვირგვინებულა. ძირითადი თანხა 3 მილიონი მანეთი უკვე შეგროვილია, და ბანკში ჩაწერის მსურველთა რიცხვი კიდევ მრავალი ყოფილა.

ეს ბანკი, რომელიც ახლა არსდება ჩვენს დედა ქალაქში სრულიად ახალი დაწესებულებაა, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელ კავკასიისთვის. ამიტომაც არის, რომ მასში ყველა დიდის ხალისით ეწერება და მის მომავალსაც დიდის იმედით შეჰყურებს...

რა თქმა უნდა, თუ კავკასიის სავაჭრო ბანკს სასურველი ხელმძღვანელები ეყოლებიან, იგი დიდ ნაყოფს მოუტანს მთელ კავკასიის ვაჭრობა მრეწველობის განვითარება-გაღონიერებას.

მაგრამ აქ ჩვენთვის მეტად საყურადღებოა საქმის ერთი მხარე. ხსენებულ სავაჭრო ბანკში თითქმის სულ ქართველები არიან, და საქმის მეთაურობაც ქართველთა ხელშია.

ამ რიგად, პირველი ნაბიჯი ეროვნულ ვაჭრობა მრეწველობის გამოხრწნებისა და გაძლიერების გზაზე უკვე გადადგმულია.

ქართველმა შეიგნო: ოცნებით არა გაკეთდება და არც სოციალიზმი დამყარდება..

თანამედროვე ერის ცხოვრებისთვის ნივთიერი მხარე ეს უპირველესი საჭირბოროტო საკითხია...

ჩვენ სიღარიბესა და სილატაკეს ბოლო უნდა მოეღოს.. ჩვენი ქვეყნის წარმოება ისევ ჩვენს ხელში უნდა დატრიალდეს.

საკმაოა ის მწარე ხანა, რომელიც ქართველმა ერმა განიცადა უცხო კაპიტალის ბატონობისაგან...

მოიგონეთ, როგორი იყო ამ ნახევარი საუკუნის წინად პოლონეთის ნივთიერი მდგომარეობა... მთელი პოლონეთი მოსულ კაპიტალისტების ხელში იყო, ხალხი სიღარიბეში სულს ლევდა, და ასეთ მწარე განცდიდან პოლონეთის ერმა თავი დააღწია საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობის მოღონიერება-განვითარებით...

მაშ, ჩვენც მივეგებოთ ჩვენს დედა ქალაქ თბილისში დაარსებულ ახალ სავაჭრო-სამრეწველო ბანკს, ვუსურვოთ ენერგიული და ნიჭიერი მუშაობა მის ხელმძღვანელთ და ჩვენც ყოველ გვარად ხელი შეუწყოთ მას.

ირ—დი.

## ბ-ნი სოსნოვსკი და ჩვენი მეურნეობა.

როგორც უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში მოხსენებული ამას წინად, სხვა რწმუნებულებთან ერთად ქუთაისში ჩამოვიდა თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებული სხვადასხვა მცენარეულებათა გამომკვლევ საზოგადოების წევრი ბ ნი დ. ი. სოსნოვსკი.

ბ-ნ დ. ი სოსნოვსკის დავალებული ჰქონდა ქუთაისში მოეწყო სამკურნალო მცენარეულობის გამომკვლევი და მყიდველი განსაკუთრებული ბიურო ბიუროს სამკურნალო მცენარეულობის ცნობა და დაგროვებაში ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ქუთაისის გარეშე სოფლის მცხოვრებთათვის. აგრეთვე განზრახული იყო სამაზრო სარაიონო ბიუროების დაარსება. ამ უკანასკნელი მოსაზრების განსახორციელებლად 15 ივნისს დ. ი. სოსნოვსკი, ი. გ. ქუთათელაძე და მოსკოვის სააბრეშუმო სადგურის წევრი გინდეი ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრენ.

რწმუნებულები ყოფილან დ. ხონში, ზუგდიდში, ოზურგეთში და სხვაგან და 19 ივნისს უკვე ქუთაისში დაბრუნდენ. მე შემთხვევა მქონდა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის შესახებ რამდენიმე ათი წუთით მესაუბრნა დ. ი. სოსნოვსკისთან.

ბ-ნ სოსნოვსკიმ სთქვა: „მე დამივლია ქართლ კახეთი, და უნდა ითქვას, რომ როგორც ჰირნახულის მომცემი მხარე ქართლ-კახეთი ქუთაისის გუბერნიაზე ბევრად წინ სდგას, მაგრამ მეურნეობის წარმოება კი ვერ არის კარგად დაყენებული და ამიტომ მცხოვრებთ ხშირად იმისი მესამედიც არ მოდისთ, რაც უნდა მოსდიოდეთ. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას ამის შესახებ მთელ ჩემს აზრს შემდეგ გაგიზიარებთ, მხოლოდ ეხლა მინდა მოვახსენოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის მეურნეობა ამ 2) წლის განმავლობაში საგრძნობლად წინ წაწეულა. მე ამ ოცი წლის წინად ვიყავი ქუთაისის გუბერნიაში და მაშინ ამ მხარეში ამერიკული ვაზის ხსენებაც არ იყო, მხოლოდ ახლა, როგორც ვნახე ყოველ მოსახლეს აქვს ამერიკული ვაზი ეს, რასაკვირველია, იმითაც აიხსნება, რომ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი მეტად ცოცხალი და გამჭრიახი ხალხია ყველა.

მაგალითად, მეაბრეშუმეობა ქართლ-კახეთში ჯერაც არ იციან მხოლოდ აქეთ კი დიდი ხანია დაიწყეს მეაბრეშუმეობა და ახლა ისე გაიზარდა, რომ ცალკე სააბრეშუმო სადგურიც კი დასჭირდათ. რასაკვირველია, კავკასიის მეურნეობის ჩამორჩენა უპირველეს ყოვლისა მთავრობის ბრალია, რომელიც ხალხის ნივთიერ მოღონიერებას ყურადღებას არ აქცევდა და არავითარ ზომას არ იღებდა, მაგრამ საბედნიეროდ ასეთი შეხედულება უკვე აღარ არსებობს, დღეს მთავრობა დარწმუნდა, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ხალხის ნივთიერი ძალა, მე ღრმადა მწამს, რომ ქუთაისის გუბერნიის მეურნეობა ჩქარა წავა წინ და დაწინაურდება, მოღონიერდება, თუ, რასაკვირველია ყოველი სპეციალისტი თავის მოვალეობის დარგში ენერგიულად იმუშავებს. მე მრწამს აგრეთვე რომ სამკურნალო მცენარეულობის გამოკვლევის საქმე ამ მოკლე ხანში უსათუოდ ღირსეულად მოეწყობა და, ჩემის ფიქრით, მცენარეულობის ბიურო რომელიც ფესად იყიდის სოფლელებისგანამა თუ იმ მცენარეს დააინტერესებს, და მათ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სხვა საჭირო ბალახების მოვლას, რაც ხელს შეუწყობს ერთობ მეურნეობის განვითარებას. მე დღეიდან მუდმივად ქუთაისში ვიქნები და ჩემი ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებული იქნება ადგილობრივ ორგანიზაცებზე, თუ რამდენად შემიწყობენ იგინი ხელს. ყოველ კაცს უნდა თავის საქმე გულით უყვარდეს და მარტო მოხელეური შემსრულებელი არ უნდა იყოს მისიო, დაასრულა ბ-ნმა დ. ი. სოსნოვსკიმ. დასასრულ ბ ნმა დ. ი. სოსნივსკიმ აღუთქვა ჩვენს რედაქციას ყოველთვის მოაწოდოს სოფლელებისთვის საჭირო ცნობები მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსადეგი.

ი. იმერელი.

## რით აიხსნება?

როგორც სოფ. ზანადან (სამეგრელო) გვატყობინებენ, ამ რამდენიმე თვის წინად იქ იმალებოდა თავის ნაწილიდან გამოპარული რამდენიმე ჯარისკაცი. ამის გამო ზუგდიდის სამაზრო მთავრობას ზანაში ჩაუყენებია ეგზეკუცია (საპოლიციო დარაჯები). ამავე დროს ყველა დამალული ჯარისკაცი თავისი ნებით გამოცხადებულა საზგვრო სამმართველოს უფროსთან, მხოლოდ დარაჯები კი სოფელში დარჩენილან და ისედაც ათასგვარად განაწამებ და გალატაკებულ გლეხობისთვის ახალ-ახალი ხარჯები შეუწერიათ. დარაჯები სოფლელებს სთხოვენ საჭმელს, სასმელს, ბინას, ცხენების მოვლას და ჯამაგირს. ამასთანავე სოფელში მეტად უზრდელად იქცევიან... რა კანონის ძალით და უფლებით ირჯებიან ასე ზუგდიდის დარაჯები? ისინი ზანას გამოგზავნეს იმიტომ, რომ „დეზერტირები“ შეეპყრათ, მხოლოდ, როდესაც „დეზერტირები“ თავისი ნებით გამოცხადდენ მთავრობის წინაშე: აქ საკითხავია, თუ რისთვის არიან სოფ ზანაში დარაჯები? იმიტომ, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ სოფლელებს, მთლად თავზარი დასცენ?.. საკვირველია აგრეთვე საქციელი ზუგდიდის სამაზრო მთავრობისა, რომელიც ზანადან თავგასულ დარაჯებს უკან არ იწვევს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ვისგანაც ჯერარს, და ისედაც მწარე განსაცდელში მყოფი გლეხობა ამ უმართებულო უბედურებისაგან დაიხსნას.

ი. დიდიძე.

## სამკურნალო მცენარეულობის კულტურა ჩვენში.

ჩვენი სოფლის მეურნეთა ყურადღებას მივაქცევთ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (№ 385) მოთავსებულ თბ. ბოტანიკური ბაღის მოწოდებას.

დღეს რუსეთში დიდი მოთხოვნილებაა გამხმარი სამკურნალო მცენარეებისა. ომის დაწყებამდე აურიცხელი წამლი და საათთიაქო მასალა გერმანიიდან შემოდიოდა და დღეს, რადგანაც წამლის შემოტანა შეუძლებელი გახდა, მთავრობამ გადასწყვიტა ამ წამლების დამზადება რუსეთში

ამიტომ მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია საერთოდ კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს მდიდარ მცენარეულობას. თბ. ბოტანიკური ბაღი გუშინდელი მოწოდებით მიმართავს სოფ. მეურნეთ ყურადღება მიაქციონ ზოგიერთ ძვირფას სამკურნალო მცენარეებს, რომლებიც დღეს ჩვენ ველ-მინდვრებზე სხვა უვარგის ბალახთან ერთად ითიბება.

სამკურნალო ბალახების მოკრება, გახმობა და დამზადება-წარმოება ერთი იმ დარგთაგანია, რომელსაც მუდამ მადლიერი რჩება მწარმოებელი და დიდს ხეირსაც აძლევს მას.

საზღვარგარეთ საერთოდ, და განსაკუთრებით გერმანიაში, მთელი ამხანაგობანი და ფართო ორგანიზაციები არიან დაბანდებული სამკურნალო საქონლის დამზადებით, რაც, რასაკვირველია, კარგ შემოსავალს აძლევს მათ.

სამკურნალო მცენარეებს საზღვარ-გარეთ ჩვენსავით უვარგის ბალახთან ერთად კი არ სთიბავენ, არამედ თესვენ, როგორც პურს, სიმინდს, ბამბას, თამბაქოს და სხვას, მას მარგლიან, რწყავენ და უვლიან. ერთი სიტყვით, სამკურნალო მცენარეების კულტურას ისევე აქვს ფეხი მოკიდებული, როგორც თამბაქოსა და ჰარხლის კულტურას.

მით უმეტეს, მეტი შეუძლია გააკეთოს ამ დარგში ჩვენმა მეურნეებმა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება მრავალფეროვანია და სხვადასხვა ჯურის სამკურნალო მცენარე ადვილად ვარგობს. ჩვენში ადვილია სარწყავების გაყვანა, რაც აადვილებს მცენარეების მოყვანას. შარშან ჩვენში დაარიგეს სასაქმებელი ზეთის დასამზადებელი მცენარის თესლი. ვინც მოთესა, წრეულს კარგი მოსავალი ჰქონდა და კარგ შემოსავალსაც მოელის, რადგანაც მცენარე ძვირად ფასობს.

ბანი.

## კრება.

გუშინწინ, 19 ივნისს, დღის 12 საათზე ჰიათურის შავიქვის მრეწველთა დარბაზში მოხდა ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „რეგულიატორი“-ს დამფუძნებელი კრება. კრებას დაესწრენ აღნიშნულ საზოგადოების წევრები დამაარსებელის აქ ნიკოლოზ შენგელიას მონდობილობით. კრება გაიხსნა საზ. წევრმა იასონ ზახვას ძე გაბილაიამ, რომელმაც დამსწრეთ განუმარტა გაწვევის მიზანი და მოუწოდა, რადგან ადმინისტრაციის წარმომადგენელი არ იყო გამოცხადებული, კრების გადადება საღამოს 4 საათამდე.

საღამოს, კრების გახსნისას, ბ. გაბილაიამ კრებას მოახსენა, რომ საზოგადოებაში ჩაწერილია 31 წევრი, იმათგან 5 კერძო პირი და 26 მომხმარებელი საზოგადოება.

კრებაზე გამოცხადდა 18 წევრი. წესდების ძალით, კრება კანონიერი აღმოჩნდა და მომხსენებელმა მოუწოდა მას თავჯდომარისა და მდივნის ასარჩევად. თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ვლ. ემუხვარი, მდივნათ მასწ. პროკლე დევიძე (სიქთაურის მომხ. საზ. „შრომის კავშირის“ წარმომადგენელი).

კრებამ მიიღო კრების ორგანიზატორის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგი. მიმდინარე კითხვათა შორის გამოიყო მოხსენება სამკურნალო მცენარეულობის გასაღების შესახებ.

ი. გაბილაიამ მოხსენება გააკეთა კრების მოწვევისა და მისი მიზნის შესახებ. კამათი გამოიწვია საკითხმა—ახლავე აირჩეს გამგეობა, თუ დროებითი კომისია, გამგეობის ნაცვლად. კრებამ უარყო წინადადება სათათბირო ხმით დამსწრე ქუთაისის მომხმარებელი საზოგ. „კოოპერაციის“ წევრის გ. ტუსკიასი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ, რომელი კომისიაც ერთის მხრით ეცდება შეძლებისა და გვარად იზრუნოს საჭირო საქონლის შეძენაზე და მეორეს—არკვევს და იმუშავებს ადგილობრივ კოოპერატივებისა და ამიერ კავკასიის შორის შეთანხმებით სასურველ ფორმას რაიონულ შეკავშირებისას.

კრებამ 14 ხმით (ოთხმა თავი შეიკავა) მიიღო წინადადება იას. გაბილაიასი: მოვისმინეთ რა მოხსენება და მისგან გამოწვეული კამათი, კრება გადადის მორიგ კითხვებზე.

კრების დამსწრე რ. ყიფიანი აცხადებს: რადგან ჩვენ, ამ კრების ერთ ნაწილს, ძლიერ გვსურდა, რომ ის ერთსულოვნათ ჩატარებულიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა და მასთან, როგორც თავ. დაადასტურა, საქონელი მიეცემა მხოლოდ „რეგულიატორი“-ს წევრებს, ჩვენ დანარჩენი იძულებული ვართ მივმართოთ ამიერ კავკასიის კავშირს, რომ მან გამოგზავნოს თავის წარმომადგენელი საქმის გასარკვევათ და საქონლის გასანაწილებლათაცო. კრებამ მოისმინა მოხსენებანი საევაკუაციო კომიტეტის წარმომადგენლისა და მისი თანამშრომლის ბ. ბუაჩიძისა—კოოპერატივების საშუალებით სამკურნალო მცენარეულობათა გასაღებაზე. კრების [illegible] წევრს მიეცა ნიმუში ამ მცენარეთა და პლაკატები. მომხსენებელთ [illegible] თავჯდომარემ ბ. ემუხვარმა მადლობა გადაუხადა კრების სახელით მოხსენებების წაკითხვისათვის. კრებამ სასურველად სცნო ამ საქმის მოწყობა კოოპერატივების საშუალებით და ჩარჩების სრულიად ჩამოშორებით.

მოქმედების გეგმის შესახებ კრებამ მიიღო ბ. იას. გაბილაიას წინადადება: „რეგულიატორი“-ს მოქმედება უნდა ხდებოდეს ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირთან შეთანხმებით და თანახმათ იმ დადგენილებათა, რომელიც მიღებულია 1915 წ. 24 26 ივნისის კრებაზე, რომელი კრებაც შესდგა მოსკოვის კავშირის ინიციატივით და შეეხო ცენტრალურ, რაიონულ და წვრილ რაიონულ კავშირთა მოქმედებას.

მიღებულ იქნა ამასთანავე ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციის მიერ გამოცემული ინსტრუქცია სამართველო ორგანოებისთვის შემდეგის ცვლილებით: გამგეობა ღებულობს წევრებათ მხოლოდ კოოპერატივებს, ხოლო კერძო პირებს—საზოგადო კრება (§12 და 42).

გ. ტუსკია აცხადებს: რომ „რეგულიატორში“ კერძო პირებმა არ ისარგებლონ იმ უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ წერი—კოოპერატივები, ამიტომ გამოირიცხონ ის კერძო პირები, რომელნიც დღემდი ჩაწერილან და მომავალში სავსებით უარყოფილ იქნას კერძო პირების წევრებათ მიღებაო.

პროკლე დევიძე: „რეგულიატორის“ სამართველო ორგანოთა წევრებათ სასურველია მხოლოდ კოოპერატივების წევრების არჩევა, რომ მტკიცედ დაცულ იქნას კოოპერატიული პრინციპი. კრებამ დაადასტურა უკვე ჩაწერილ კერძო პირების მიღება და დაადგინა: არჩეულ იქნას დროებითი გამგეობა 3 კაცისაგან. ფარული ბარათებით აირჩიეს: 1) აქ. ნიკოლოზ ივანეს ძე შენგელია; 2) ვლ. ემუხვარი და იასონ გაბილაია. კრებამ გამგეობას დაავალა ყველა მოვალეობის ასრულება და ერთი თვის განმავლობაში საგანგებო კრების მოწვევა, რომელ კრებაზეც მოხდება ყველა სამართველო ორგანოს არჩევა. ცენტრალ კოოპერატივებთან დამოკიდებულების შესახებ კრებამ დაადგინა კავშირში ჩაწერა და აგრეთვე სურვილი გამოითქვა მოსკოვის კავშირის წევრათ ჩაწერისა. კრება დაიხურა ღამის 12 საათზე.

## ქართველი ინტელიგენცია.

ჩვენი ხალხი ნივთიერ დახმარებაზე არანაკლებ საჭიროებს გონებრივ დახმარებას. ნივთიერი დახმარება გაჭირვებული ადამიანისა მდიდრებისა და ქველმოქმედების მოყვარულთა ხვედრია, გონებრივი დახმარება კიინტელიგენციისმოვალეობაა. ქართველი ინტელიგენტი ადამიანი, რომ, გონებრივათ ვერ დაეხმაროს გაჭირვებულ მოძმეს კიდევ დასაძრახისი არ არის, რადგანც ჩვენი ინტელიგენცია უმთავრესად ნივთიერათ თვითონაც ღარიბია, მაგრამ როდესაც ესვევ ინტელიგენცია გონებრივ დახმარებას არ უწევს ჩვენს დაბეჩავებულსა და გაჭირვებულ ქართველ ხალხს პირდაპირ გასაოცარი და სამწუხაროა. რომელი ხელობის ინტელიგენციაც უნდა აიღოთ, გარდა ლიტერატორებისა, მგოსნებისა და მწერლებისა, არც ერთი არ დგას თავის მოწოდების სიმაღლეზე ამ მხრით. განსაკუთრებით სოფლის ინტელიგენცია ღალატობს ამ საქმეში თავის წმინდა მოვალეობას სოფლის მღვდლებისა და მასწავლებლების უმრავლესობა უსასყიდლოთ უბრალო ქაღალდსაც არ დაუწერს საწყალ კაცსა და „მოსე მწერლები“ ხომ პირდაპირ ამ ხელობით ირჩენენ თავს. ქალაქში ჩამოსული სოფლელი უბრალო „სპრავკის“ გასაგებად ხშირად ორი სამი დღე რჩება სასამართლოებში. ამ სასამართლოების ქართველი მოხელეები ზნეობრივ ვალდებულად არ გრძნობენ თავის თავს გაჭირვებულს შეეწიონ და დროზე გაუშვან სახლში.

სამოსწავლო სკამზე ჯდომის დროს უსათუოდ სულ სხვა აზრებით იყო გამსჭვალული ჩვენი ინტელიგენცია, მაგრამ ცხოვრებამ შეუცვალა მას საკაცობრიო იდეალები და დაავიწყებია გაჭირვებული მოძმე. ხშირი მოგონება ამ წუთისოფლის არარაობისა, უნდა ვიფიქროთ, ჩვენს ინტელიგენციას გამოაღვიძებს და დაუბრუნებს იმ გაჭირვებულ მოძმეს, რომელიც მისგან შველა დახმარებას ელის

მ. ბუაჩიძე.

# პროვინციის ცხოვრება

**დაბა წაღვერი** მდებარეობს ბორჯომიდან 12 ვერსის მანძილზე. წაღვერი განთქმულია, როგორც საგარაკო ადგილი. საზოგადოთ ყოველ წელს ურიცხვი მოაგარაკენი დაიარებიან აქ სხვა და სხვა ქვეყნიდან; მაგრამ წელს კი იმდენი მოაგარაკე მოაწყდა ამ დაბას, რომ ოთახის შოვნა გასჭირდა აქ არის რკინის წყალი, რაც სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და რითაც სარგებლობენ, როგორც ადგილობრივი მოაგარაკენი, ისე ახლო-მახლო მყოფნიც. მთელ წაღვერის მდებარეობას შეადგენს ნაძვი და ფიჭვი, რაც ადამიანის აგებულობისათვის სასარგებლოა, განსაკუთრებით კი ფილტვების სისუსტეს უხდება.

დაბაში არ არის ექიმი, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, როგორც მოაგარაკეებისათვის, ისე ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის თუ ვინიცობაა შეგეწიათ ღმერთი და იშოვეთ ექიმი, მაშინ წამალს ველარ ეღირსებით. არის ერთი აფთიაქი, სადაც ორი დღის შემდეგ დაგიმზადებენ წამალს, ისიც დიდი თხოვნა ვედრებით.

მოაგარაკენი დიდ შევიწროებას განიცდიან სახლის პატრონებისაგან. თუმცა გასაკვირი არ არის ისეთ დროში ვართ, მაგრამ ასეთი უდიერი საქციელი წარმოუდგენელია. საბრალო დაავადმყოფებული მოაგარაკენი მოდიან წვრილი ცოლშვილით სხვა და სხვა შორი ქვეყნიდან, მგზავრობისგან დაღლილ-დაქანცულებს, იმედი აქვთ, რომ აგარაკზე დაისვენებენ. მოვლენ და ნახვენ, რომ მათ მიერ ნაქირავებ სახლში უკვე სხვა სდგას.

— რატომ გააქირავეთ ჩემი ნაქირავები სახლი? ეკითხებით მეპატრონეს.

— მიტომ, რომ შენზე მეტი მან მომცა — იძლევა პასუხს. ამგვარად, იძულებული ხდება ღამე გარეთ, ქუჩაში გაათიოს, რადგანაც სასტუმროები აქ არ არის და სახლი წელს ხომ სრულიად არ იშოვება

ერთ მოაგარაკეს თამარ საკანდელიძის ასულს უქირავებია ი. მღ.—ლისაგან რვა თუმნათ სახლი, ბე 15 მან. უკვე მიუცია. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოვიდა ოჯახითა და ბარგით. სახლი გაქირავებული დახვდა, გამწარებულმა ქალმა მეორე დღესვე მიმართა ბოქაულს ბორჯომში: ბოქაულმა თანაშემწე გამოაგზავნა და სახლის პატრონს ორი იმდენი გადაახდევინეს რაც ქონდა მიღებული ამ ქალისგან. კიდევ დაიბარა სხვები, რომლებიც ი. მღ.—ილის ამხანაგები იყვნენ ამ შემთხვევაში და ყველა ბორჯომში გაისტუმრა, სადაც, როგორც გავიგეთ, 500 მან. დაუჯარიმებიათ.

საჭიროა ასეთ შემთხვევას საზოგადოებისგან და მთავრობისგანაც ყურადღება მიექცეს, თორემ მოვა დრო, რომ დაბინავებულსაც გარეთ გამოგვყრიან და ვინც მეტს მისცემს, მას დაუთმობენ სახლებს.

მოაგარაკე ქალი თამარი.

— —

**სოფ. ძევრი** (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელს ყოფს ძერულა. რომელიც გამოდის ოკრიბიდან და ჩამოდის ძევრის კლდეში, რომელსაც ტარიელის კლდე ეწოდება. ეს კლდე დიდი საყურადღებოა სანახაობით. განსაკუთრებით ზაფხულობით იგი ბევრ ხალხს იზიდავს. ხშირად დადიან ამ კლდეში ინჟინრებიც, როგორც სჩანს, ბევრი სხვადასხვა მადნეულობა უნდა იყოს ამ ქვაბში. აქედან მიაქვთ ნიმუშები მადნებისა. მე თვითონ მოწმე ვარ, რომ ამ 55 წლის წინათ, აქიდან გამოქონდათ იმისთანა გვარჯილა, რომელ გვარჯილიდანაც მეპატრონე გლეხი მეფარიძეები აკეთებდენ საუცხოვო თოფის წამალს და ყიდდენ ერთი თოფის სროლას თითო კაპიკათ. ამ ამართულ კლდეზე გაკეთებულია ოთახივით, სადაც ვერაფერი მოხერხებით ვერ მიუდგება კაცი. გარდმოცემით ვიცით, რომ ამ გამოშენებულში უნდა ენახოსთ შესანიშნავი ხის ჯვარი და შეკონილი შუშა. ეს კლდე ირგვლივ დახურულია მთის გორებით. შეიცავს შიგნით რამოდენიმე ასეულ ქცევას მე მგონია, აქ ამ კლდეში ბევრი რამ საგულისხმო და საყურადღებო მადანი უნდა იყოს, რასაც რასაკვირველი, გამოკვლევა უნდა.

13 ივნისს ამ კლდის მახლობლათ ერთს მივარდნილ ალაგს ესეკია კუტალაძემ ნახა ყაჩაღები, გამოკითხა ვინაობა, პასუხის მაგიერ ყაჩაღებმა კიდამ არ მოჰკლეს საბრალო გლეხი. კუტალაძეს სოფლის მოხელეებს აცნობა შეიყარა მრავალი ხალხი ყაჩაღების შესაპყრობათ, მაგრამ უიარაღო ხალხი ყაჩაღებს ვერ მიეკარა.

ერთ ადგილას ძევრში, სადაც არის შავი ქვის მადანი, ინჟინრებისაგან ხუთექვს ადგილს მიწაში გაყვანილია გვირაბი, რომლის სიგძეც 4—5 ვერს უდრის:

ეს გვირაბი ყაჩაღების საფარ ადგილათ არის გადაქცეული. იმდენი კი მოახერხეს სოფლელებმა, რომ ყაჩაღები აქიდან განდევნეს, მაგრამ რა გამოვიდა, სადაც წავლენ ახლა იქ შეავიწროებენ გაჭირვებულ ხალხს.

ამ ჟამათ ყოველ სოფელში არიან არჩეულნი ოცის თავები. ამათ რომ დაურიგდეს თითეულ სოფელში მხოლოდ სამ-სამი კარგი სისტემის თოფი, შემავიწროებელ ავაზაკებს თავიდან მოიშორებენ.

ხალხის ნივთიერი გაჭირვება აუტანელია. დიდ უმრავლესობას საზრდო არა აქვს. ამ კრიტიკულ დროს ვისაც კი გააჩნია მარჩენალი ხარი ან ძროხა, ჰპარავენ და სტოვებენ ცარიელს.

საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს

ძევრელი.

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ს.

**სისუბუქე**, легкость.
**სიტუტე**, щелочность, соленость.
**სიტყვა**, слово, разумъ.
**სიფიცხლე**, твердость.
**სიყრმე**, дѣтство.
**სიშორე**, разстояніе.
**სიჩჩო**, мягкость.
**სიცხადე**, ясность.
**სიხმელე**, твердое состояніе, плотность.
**სიხშირე**, плотность.
**სიხშო**, плотность.
**სრბაჲ**, теченіе.
**სრული**, совершенный. აქედან: უსრული, несовершенный, განსრულება, усовершенствованіе.
**სტოელი**, стоикъ.
**სუე**, фатумъ.
**სულთცვალებაჲ**, душепереселеніе, метапсихозъ.
**სულითი**, касающійся духа.
**სულიერებრივი**, душевный.
**სულისკვეთება**, дыханіе.
**სულისკვეთითი**, дыхательный.
**სულისთქმითი**, стонущій.
**სულის სახედ**, по образу души.
**სფეროსაკვეთი**, сферическая фигура.
**სწავლულებანი**, научныя познанія.
**სწორსაზომი**, სიმეტრიული, соразмѣрный, симметричный. აქედან: სწორზომობა: соразмѣрность симметрія (ახლანდელი ტერმინი).
**სწრაფვა**, вожделеніе, стремленіе.
**სხეული, სხეულიანი**, тѣло, тѣлесный. აქედან: უსხეულო, безтѣлесный.
**სხეულებრივი ვნებანი**, плотскія страсти.
**სხუებრიობაჲ**. სხვანაირობა, несходство, оригинальность.
**სჯაჲ**, сужденіе.
**სჯილ-ბჭობილი**, обсужденное.

ვასილ წერეთელი.

# რუსეთი.

— —

განათლების სამინისტროს დადგენილებით, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებიდან გამორეკეს ბულგარეთის ქვეშევრდომი ახალგაზდები

— —

იუსტიციის მინისტრის ხვოსტოვის განკარგულებით, შემოღებულ იქნება პასუხისმგებლობა ყოველგვარ სპეკულიაციაზე.

— —

მთავრობამ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე განსაკუთრებული კანტროლი შემოიღო

— —

გაზ. „ბირჟ. ვედ." წინასწარ ცენზურისაგან გაანთავისუფლეს.

— —

პეტროგრადის უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა პროფ. ე გრიმი.

— —

პეტროგრადში ბინის ქირაზე ნიხრი დააწესეს. კარგი იქნება ასეთ ზომას ჩვენშიც მიმართავდენ.

— —

მოსკოვში ემიგრანტი ჩეხები იან ჰუსის საზოგადოებას აარსებენ.

— —

დიდიბრიტანიის ქალთა დამხმარე კომიტეტმა რუსეთის ქალების კავშირს გადმოსცა დიდძალი სამკურნალო მასალა.

— —

ამას წინად რუსეთის გაზეთებში ცნობა დაიბეჭდა, ვითომც იმ ქაღალდზე, რომელიც რუსეთის ნაციონალისტებმა პრეზიდენტ ვილსონს წარუდგინეს, ხელი ეწერა აგრეთვე ლატიშების დეპუტატს. ეს ცნობა უარყვეს პეტროგრადელმა ლატიშთა დეპუტატებმა და შვეიცარიის ლატიშთა ეროვნულმა საზოგადოებამ.

— —

რუსეთში დაარსდა განსაკუთრებული საზოგადოება, რომლის მიზანია გერმანელთა ძალადობასთან ბრძოლა.

— —

იუსტიციის სამინისტროს ნებართვით, დღეიდან სასამართლოს შემადგენლობაში ქალებსაც მიიღებენ.

— —

ტატიანის კომიტეტის გამგეობას დაუდგენია, ამ მოკლე ხანში რევიზია უყოს ყველა თავის განყოფილებას.

— —

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა კანონი თავისუფალ აფთიაქების შესახებ. აფთიაქის გახსნის უფლება აქვს ყველა ფარმაცევტს, ვისაც კი ფარმაცევტის კურსი გაუვლია.

## უცხოეთი.

გაზეთი „ცეიტი" იუწყება: წელს უნგრეთში, ცუდი ამინდების გამო, მოსავალი ნაკლები იქნებაო

— —

შვეციის სამთავრომ თავის საურთიერთო ვაჭრობის გასაადვილებლად რუსეთში არსებული სადამიენო გადასახადის კანონი (300 გვერდ. წ.) შვეციურ ენაზე გადაათარგმნია და დაბეჭდა. ეს ზომა იმიტომ არის გამოწვეული, რომ შვეციის ვაჭრებს უმეტეს წილად რუსეთთან უხდებათ საურთიერთო ვაჭრობის წარმოება, რომლის დროსაც ხსენებული კანონები მათთვის საჭიროა.

— —

რუსეთის ფინანსთა მინისტრი ბარკი ლონდონში ინგლისის მეფემ მიიღო.

— —

ლონდონში ცნობა მოსულა, რომ გერმანია სამხედრო ტყვეებს საყოფ სანოვაგეს არ აძლევსო ამის გამო რობერტ სესილი ბერლინის ამერიკის საელჩოს ხელით იმპერიის კანცლერს ნოტას უგზავნის, სადაც ნათქვამია, თუ გერმანიას ტყვეების გამოკვება არ შეუძლია, მაშინ უნდა გაანთავისუფლოსო

— —

შეერთებული შტატების რესპუბლიკას გადაუწყვეტია, ბაჟი დაადვან მექსიკიდან შემოზიდულ საქონელს.

— —

მექსიკაში თანდათან ძლიერდება ანტი ამერიკული მოძრაობა.

კარანცში დალეწეს ამერიკის საელჩოს შენობა.

— —

გერმანიაში სოციალ-დემოკრატთა უმცირესობამ გაიმარჯვა.

— —

ავსტრიის მთავრობამ ჯარში გაიწვია 1909—12 წლ განთავისუფლებული ჯარის კაცები.

— —

სათათბიროსთან არსებულმა იმ საგანგებო კომისიამ, რომელიც იმუშავებს ქალაქის თვითმართველობის პროექტს, სათათბიროს ბლოკის წარმომადგენელთა თანდასწრებით განიხილა საქალაქო არჩევნებში ცენზის საკითხი. ცენზის შესახებ პროგრესისტები სხვადასხვა აზრს ადგენ, კადეტები კი მოითხოვდენ არჩევნებში კურიალურ სისტემის შემოღებას. უმრავლესობა კურიალურ სისტემას მიემხრო

— —

იურიევის უნივერსიტეტში სამღვთისმეტყველო ფაკულტეტი გააუქმეს

## ნარევი.

არხანგელის გუბერნიის ერთერთ სოფელში ხეზე უნახავთ მიღურსმული მკვდარი კაცის გვამი. გამოძიების შემდეგ აღმოჩენილა, რომ ის ყოფილა ადგილობრივი სასამართლოს მწერალი და გლეხებს უსამართლოდ მოპყრობისთვის უწამებიათ.

## შემოწირულება.

შემდეგი იხ. „სამშ." № 385)

ფრ. საკალბასოშ—3 გირ. კალბასი., ძმ. დღონტებმა—4 მ., თურქიამ და ამხ. 20 მ., „აბრეშუმი"—1 მ 90 კ. განელიძმა—8 მ., გორდაძემ და წერეთელმა—5 მ. ი. ზ. გვეტაძემ—5 მ., კუპრაძემ—2 მ. და 2 შ., ყაზაროვმა—1 მ. და 1 აბ., ძმ. ფილიპოვებმა—3 მ., მ. გ. კასუმოვმა—3 მ. და 3 აბ., ძმ. ჯავჭანიძეებმა (შეუფასებელია) ძმ. რიჟინაშვილებმა—2 მ., მოსკოვის მაღაზიამ—4 მ. და 3 აბ, მ. მანაგაძემ—1 მ. და 10 შ., ნ. ბარაბაძემ—2 მ. და 3 აბ., კიკაბიძემ—3 მ. და 10 შ., ბახტაძემ (?) ბ. ერიქოვმა—3 აბ., გ. აბდალაძემ—8 მ. და 6 შ, ხარაზოვმა—2 მ. და 2 აბ., ი. მ კაუხჩიშვილმა—14 შ., ია. ციბაძემ—1 მ. და 50 კ. გაბუნიამ—6 მ და 6 შ., მენაძემ და ამხ.—2 მ. და 50 კ., კიდასხნიამ და კაპანაძემ—5 მ. და 40 კ., ე. ასათიანმა 2 მ. და 95 კ., მ. ვოლოხმა—2 მ. და 70 კ., ი. ჩხეიძემ—3 მ. და 40 კ, მახარაძემ—2 მ. და 50 კ., ცაგორიძემ და სხველიძემ— 4 მ. და 50 კ., ეფრაიმმა 3 მ 15 კ, ს. რუხაძემ—3 მ. და 50 კ., ს. ბოკერიამ—3 მ. 80 კ, ყორყოლაძემ—6 მ., ს. მანაგაძემ—2 მ. და 40 კ., ვ. მელაშვილმა—4 მ. და 55 კ., გოგუნაშვილმა 5 მ. ჩიკვაშვილმა—4 მ და 50 კ., აზრ. თავდიდიშვილმა—3 მ, არ ელიგულაშვილმა—6 მ, ბუზიაშვილმა—3 მ, ამირადოვმა—1 მ. ძმ. იაკობიშვილებმა—20 მ., რ. ციციაშვილმა—3 მ. და 50 კ., მ. თოფჩიაშვილმა—4 მ., მ. ჩიკვაშვილმა—8 მ. და 40 კ., ი. ა ხაზარაძემ—6 მ,, მ. ფიჩხაძემ—2 მ., ი. რ. ბუზიაშვილმა—1 მ და 80 კ., ხოჭოლავამ—6 მ., თოფჩიაშვილმა—3 მ. და 50 კ., ფიჩხაძემ—2 მ. და 25 კ., ძმ. ხანანაშვილებმა—6 მ. და 50 კ., ხანდრაკევ—90 კ. ი. ხანანაშვილმა—2 მ. და 50 კ. არ. ფიჩხაძემ—4 მ, [illegible] მ. რიჟინაშვილმა—2 მ. და 50 კ. ი. ფიჩხაძემ—2 მ [illegible] შვილმა—8 მ, მ. გოგულაშვილმა—4 მ., მ. ხანანაშვილმა—1 მ. და 20 კ., მ. თავდიდიშვილმა—4 მ., ძმ ფიჩხაძეებმა—9 მ. და 30 კ., მ. ჩიკვაშვილმა—4 მ. და 20 კ., ძმ. გვარჯილაძეებმა—5 მ. და 40 კ., ი. ხანანაშვილმა—8 მ, ს. ფიჩხაძემ—2 მ. გაჩნიამ—1 მ. და 60 კ., მ. ზ. ლეჟავამ—50 კ, იზ. ჭოლოკავამ—1 მ. და 20 კ. ჩიხლაძემ—50 კ, ერქომაიშვილმა—80 კ., ის. იაკობიშვილმა და ამხ.—2 მ. და 50 კ., მ. ა. რიჟინაშვილმა—2 მ., ი. ციციაშვილმა—2 მ., ქ ი. რიჟინაშვილმა—1 მ. და 60 კ., ი. ს. ფიჩხაძემ—1 მ. და 50 კ., მ. რიჟინაშვილმა—1 მ. და 50 კ., მ. იაკობაშვილმა—1 მ. ზ ა. რიჟინაშვილმა—15 მ., ძმ. მელაშვილებმა—3 მ. და 85 კ. ურიანცევმა და ამხ.—7 მ. „მოდერნმა"—4 მ.

გამგეობა.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. 5 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში; გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)